საგრანტო ხელშეკრულება № 3/12/23

18 დეკემბერი, 2023

წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულება იდება ორგანიზაციას ა.(ა).ი.პ. არასამეწარმეო იურიდიული პირი „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი" (შემდგომში - გრანტის გამცემი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბრიელაშვილის სახით და ორგანიზაციას არასამეწარმეო იურიდიული პირი „საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS" (შემდგომში - გრანტის მიმღები) შორის, წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა გაფრინდაშვილის სახით ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები", რომლებიც ითვალისწინებენ:

1. ხელშეკრულების საგანი და ვადა

ა) „გრანტის გამცემი" ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ზედამხედველობით" ფარგლებში, აფინანსებს „გრანტის მიმღებს" გრანტით კვლევითი პროექტის განსახორციელებლად და შესაბამისი ანგარიშის მოსამზადებლად თემაზე - „ახალი სატრანზიტო დერეფნების სცენარების და დიდი გეოპოლიტიკური აქტორების ინტერესების ანალიზი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების კონტექსტში", რომლის დეტალები მოცემულია პროექტის განაცხადში (დანართი 1) და რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) ხელშეკრულება იდება 4 თვის ვადით და ძალაშია 2023 წლის 18 დეკემბრიდან 2024 წლის 18 აპრილამდე. ამ ხელშეკრულებით განსახორციელებელი აქტივობები და ბიუჯეტით გაწერილი ყველა ხარჯი უნდა ემთხვეოდეს მოცემულ ვადებს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 „გრანტის მიმღები" ვალდებულია:

ა) განახორციელოს კვლევა და მოამზადოს შესაბამისი ანგარიში წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული პროექტის განაცხადის (დანართი 1) შესაბამისად

ბ) გრანტის გამცემისგან მიღებული დაფინანსება გამოიყენოს პროექტის განაცხადით (დანართი 1) გათვალისწინებული კვლევის განსახორციელებლად, წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად (დანართი 2). დაუშვებელია თანხის გამოყენება ნებისმიერი სხვა მიზნით, მათ შორის პოლიტიკური საქმიანობის ან/და ლობირებისათვის, ჯარიმების დასაფარად, სხვა ორგანიზაციის ან/და ფიზიკური პირისთვის სუბსიდიების ან/და ქვეგრანტების გასაცემად, უკანონო ან/და უნებართვო საქმიანობისთვის, ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც კვლევითი პროექტით არ არის გათვალისწინებული

გ) დაუყოვნებლივ აცნობოს გრანტის გამცემს პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი შეფერხების ან შეზღუდვის შესახებ

დ) „გრანტის მიმღების" ბრალეულობით კვლევის ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობის, ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის „გრანტის გამცემის" მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, „გრანტის გამცემს" დაუბრუნოს გრანტის ფარგლებში მიღებული თანხა სრულად

ე) ხელი შეუწყოს „გრანტის გამცემს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის მონიტორინგის ჩატარებაში

ვ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებები, აგრეთვე აღნიშნული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული გრანტის გამცემის მითითებები

2.2 „გრანტის მიმღები" უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს „გრანტის გამცემისაგან" საგრანტო თანხის დროული გადახდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად;

ბ) საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს პროექტის განაცხადით (დანართი 1) გათვალისწინებული კვლევა, ყოველგვარი არაჯეროვანი ჩარევისა და მითითების მიღების გარეშე;

გ) მოსთხოვოს „გრანტის გამცემს" კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციისა და უკუკავშირის დროული და ჯეროვანი მიწოდება.

2.3 „გრანტის გამცემი" ვალდებულია:

ა) „გრანტის მიმღებს" გადასცეს საგრანტო თანხა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად;

ბ) „გრანტის მიმღებს" დროულად მიაწოდოს უკუკავშირი მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ;

გ) საჭიროების შემთხვევაში „გრანტის მიმღებს" გაუწიოს კონსულტაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ანგარიშგების საკითხებზე;

დ) ხელი შეუწყოს „გრანტის მიმღებს" პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება გამოიხატოს პროექტის სხვა გრანტიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციის ხელშეწყობაში.

2.4 „გრანტის გამცემი" უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს „გრანტის მიმღებისგან" პროექტის მიმდინარეობასთან/შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია; აგრეთვე, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია სხვა წყარო(ებ)იდან;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში განახორციელოს პროექტის ფინანსური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს კვლევითი პროექტის ფარგლებში „გრანტის მიმღების" მიერ მიღებული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას პროექტის ბიუჯეტთან. მონიტორინგის ფარგლებში მოწმდება ხელშეკრულების შესრულების ფინანსური ნაწილი „გრანტის მიმღების" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე.

გ) საჯაროდ გააჟღეროს, მესამე პირ(ებ)ს გადასცეს ან სხვაგვარად გამოიყენოს პროექტისა და მის ფარგლებში მომზადებული კვლევის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და მონაცემები.

3. საგრანტო თანხა და გადახდის პირობები

ა) საგრანტო თანხა 50370.10 (ორმოცდაათი ათას სამას სამოცდაათი ლარი და ათი თეთრი) ლარი განსაზღვრულია პროექტის ბიუჯეტით (დანართი 2) და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) საგრანტო თანხის ჩარიცხვა „გრანტის მიმღების" ანგარიშზე დაიყოფა სამ ეტაპად:

- პირველი ტრანში - საერთო თანხის 40%-ის ოდენობით, 20148.04 (ოცი ათას ას ორმოცდარვა ლარი და ოთხი თეთრი) ლარი ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
- მეორე ტრანში - საერთო თანხის 40%-ის ოდენობით, 20148.04 (ოცი ათას ას ორმოცდარვა ლარი და ოთხი თეთრი) ლარი შესაბამისი ანგარიშის პირველადი ვერსიის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
- მესამე, საბოლოო ტრანშის, საერთო თანხის 20%-ის ოდენობით, 10074.02 (ათი ათას სამოცდათოთხმეტი ლარი და ორი თეთრი) ლარის გადარიცხვა მოხდება კვლევისა და შესაბამისი ანგარიშის საბოლოო დოკუმენტის, ფინანსური ანგარიშისა და შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან და „გრანტის გამცემის" მიერ მათი დამტკიცებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

გ) „გრანტის მიმღები" ვალდებულია „გრანტის გამცემს" დაუბრუნოს ის თანხა, რაც პროექტის დასრულებისას დარჩა გაუხარჯავი, ან არ იქნა დადასტურებული „გრანტის გამცემის" მიერ, როგორც პროექტის ხარჯი.

4. ანგარიშგება და ფინანსური დოკუმენტები

ა) პროექტის ფარგლებში ანაზღაურებული ან ასანაზღაურებელი ყველა დანახარჯი უნდა იყოს დადასტურებული დოკუმენტურად (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ჩეკი, ინვოისი, ზედნადები, საგადახდო დავალება და ა.შ);

ბ) „გრანტის მიმღებმა" ფინანსური ანგარიში უნდა წარმოადგინოს ხარჯის დამადასტურებელ დასკანერებულ ფინანსურ დოკუმენტებთან ერთად;

გ) გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება სრულად უნდა გაიხარჯოს მესამე (საბოლოო) ტრანშის ჩარიცხვიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, „გრანტის მიმღების" მიერ აუთვისებელი თანხა დაუბრუნდება „გრანტის გამცემს"

დ) ხარჯი, რომელიც არ დასტურდება ფინანსური დოკუმენტით, არ ანაზღაურდება;

ე) „გრანტის მიმღები" ვალდებულია შეინახოს ორიგინალი ფინანსური დოკუმენტაცია ექვსი წლის განმავლობაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

ა) წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ფორმდება წერილობით და ხელმოწერილი უნდა იქნეს მხარეთა მიერ. შეთანხმება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბ) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ვადამდე მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ფორმდება წერილობით და ხელმოწერილ უნდა იქნეს მხარეთა მიერ.

გ) წინამდებარე ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების ან დარღვევის შემთხვევაში, „გრანტის გამცემს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს გრანტის მიმღებს გრანტის თანხის სრული მოცულობით უკან დაბრუნება 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

ა) წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. „გრანტის მიმღები" საგრანტო სახსრების გამოყენებისას, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვისას და საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისას, ვალდებულია დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

ბ) „მხარეთა" შორის წარმოშობილ ნებისმიერ დავას, რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო.

7. გარდამავალი და სხვა დებულებები

ა) მხარეებს შორის კომუნიკაცია მოხდება ელ. ფოსტის შემდეგ მისამართებზე:

„გრანტის გამცემი" – info@irc.ge, g.gabrielashvili@irc.ge

„გრანტის მიმღები" – sergikap@gmail.com

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გადახდაზე, რომელიც დაკავშირებულია გრანტის განხორციელებასთან, პასუხისმგებელია მხოლოდ „გრანტის მიმღები".

გ) ნებისმიერი ცვლილება ან დამატება პროექტის აქტივობებში/ვადებში/ბიუჯეტში უნდა წარედგინოს „გრანტის გამცემთან" ცვლილების განხორციელებამდე 10 (ათი) დღით ადრე და „გრანტის მიმღებმა" მიიღოს წერილობითი დასტური ამის შესახებ.

დ) დაუშვებელია ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებისა ან ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი დათმობა ან გადაცემა მესამე პირზე, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლიდან ერთი რჩება „გრანტის გამცემს“, ხოლო მეორე - „გრანტის მიმღებს“.

<u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

ააიპ „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი“	ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS“
ს/კ: 404879128	ს/კ:406077579
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საირმის ქ. კორპ.1 ბ.13	იურიდიული მისამართი: კოტავა 75გ, ბ. 40
	ბანკი: TBC ბანკი
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა/ა:GE93TB7796636080100009
გიორგი გაბრიელაშვილი	პაატა გაფრინდაშვილი
დირექტორი	დირექტორი

GRASS
406077579
NNLE Georgia's Reforms Associates

დანართი N1

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის განაცხადის ფორმა[1]

ორგანიზაციის დასახელება	საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS
განაცხადის წარმოდგენის თარიღი (დღე/თვე/რიცხვი)	19.10.2023
საკონტაქტო პირი[2]	სერგი კაპანაძე
საკონტაქტო პირის მონაცემები	ელ. ფოსტა: sergikap@gmail.com
	ტელეფონი: 577 73 38 77
კვლევის სახელწოდება	ახალი სატრანზიტო დერეფნების სცენარების და დიდი გეოპოლიტიკური აქტორების ინტერესების ანალიზი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების კონტექსტში
კვლევის განხორციელების ბიუჯეტი (ლარში)	50370 ლარი

ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადის წარმოდგენას ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის. წარმოდგენილი ინფორმაცია ნამდვილი, სრულყოფილი და სწორია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი: **პაატა გაფრინდაშვილი**

[ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა] **ხელმოწერის თარიღი**: 20.10.2023

---

[1] ფორმა უნდა შეივსოს ქართულად, ფონტის ზომა 11.

[2] ორგანიზაციის თანამშრომელი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე განაცხადთან დაკავშირებულ საკონტაქტო პირს

1. კვლევის შესახებ

1.1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალურობის დასაბუთება[3] (მაქსიმუმ 1 გვერდი)

2020 და 2023 წლების ყარაბაღის ომებმა და აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ რეგიონში არსებული სატრანსპორტო დერეფნების აღდგენა/ამოქმედებისა და ახალი მარშრუტების წარმოქმნის პერსპექტივა გააჩინა როგორც „აღმოსავლეთ-დასავლეთის", ისე „ჩრდილოეთ-სამხრეთის" მიმართულებით. აზერბაიჯანისა და ირანის ერთობლივი პროექტი დასავლეთ აზერბაიჯანის ნახიჩევანთან ირანის ტერიტორიის გავლით დაკავშირების თაობაზე, თურქეთ-აზერბაიჯანის შეთანხმება ყარსი-ნახიჩევანის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით და 2020 წელს სამმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ე.წ. „ზანზეგურის კორიდორის" პროექტის ადვოკატირება, ირანის პროექტი „სპარსეთის ყურე - შავი ზღვა", ასევე უკანასკნელ პერიოდში გააქტიურებული საუბრები აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით, ის თემებია, რომლებსაც პირდაპირ გავლენა ექნებათ საქართველოს და მთლიანად შავი ზღვის უსაფრთხოებაზე, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაზე. ამ სატრანზიტო დერეფნებს ასევე გავლენა ექნება რეგიონული სამშვიდობო არქიტექტურის ჩამოყალიბებაზე, რასაც ასევე პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან.

ახალი ტრანზიტული დერეფნების გაჩენა და ახალი ტვირთების გადაადგილება იწვევს მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორების ჩართულობას და მათი გეოპოლიტიკური ინტერესების პროექციას. კერძოდ, ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩინეთის გაზრდილი ინტერესის, თურქეთის ტრადიციული გეოპოლიტიკური ინტერესების და ამ სატრანზიტო დერეფნებთან დაკავშირებით რუსეთის ახალი ინტერესების ანალიზი და მათი გავლენის შეფასება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების კონტექსტში.

კვლევა შეეხება ახალი ტრანზიტული შესაძლებლობების გაჩენის შემდეგ რეგიონში მონაწილე სხვადასხვა აქტორის ინტერესების ანალიზს და მათ გავლენას საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. მიმოხილული იქნება თურქეთის, ირანის, ჩინეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ასევე ევროკავშირისა და აშშ-ის ინტერესები; გაანალიზებული იქნება ამ აქტორების არსებული ჩართულობა და მომავალი ჩართულობის პერსპექტივები.

[3] მითითებული უნდა იყოს რა კითხვების პასუხის გაცემას შეეცდება კვლევა

კვლევაში ასევე მიმოხილული იქნება პოტენციური ახალი ტრანზიტული მარშრუტები, როგორც აღმოსავლეთ დასავლეთისკენ, ისე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ამ კონტექსტში საუბარი შეეხება ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გავლით პოტენციური ტრანზიტისა და სავაჭრო დერეფნის აღდგენის პერსპექტივას და მის თანმდევ შესაძლებლობებსა თუ საფრთხეებს.

წარმოდგენილი კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს წარმოადგინოს მრავალგანზომილებიანი, სიღრმისეული და დასაბუთებული ხედვა/ანალიზი სამხრეთ კავკასიაში ახალი ტრანზიტული შესაძლებლობების თაობაზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში.

1.2. საკვლევი საკითხის თავსებადობა საგრანტო კონკურსის მიზნებთან და თემატიკასთან (მაქსიმუმ ½ გვერდი)

უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის გამო დასავლეთის მიერ რუსეთზე დაწესებული სანქციების შედეგად, რომლებიც ტვირთების გადაზიდვაზეც აისახა, მოთხოვნა ახალ ტრანზიტულ გზებზე სამხრეთ კავკასიაში და მთლიანად შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც საქართველოსთვის ერთდროულად ერთგვარ გამოწვევასა და შესაძლებლობას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აქტიურად ჩაერთვება რეგიონში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში, აღნიშნული ძალზე მომგებიანი იქნება ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული ჰაბის როლში დამკვირდების თვალსაზრისით, თუმცა შესაძლოა გამოწვევას წარმოადგენს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისთვის და ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ამავდროულად, ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესებიდან „გამოთიშვა“ მნიშვნელოვნად შეასუსტებს საქართველოს ტრანზიტულ პოტენციალს და მის პოზიციებს რეგიონში.

გასათვალისწინებელია რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო აქტორებს განსხვავებული და მრავალმხრივი ინტერესები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ყარაბაღის საკითხის მოგვარებამ ახალ პროცესებს დაუდო დასაბამი, მხარეებს შორის ნდობის ნაკლებობა შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდეს მათი წარმატებული განხორციელებისთვის. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ რუსეთი, ძალების შესუსტების მიუხედავად, კვლავაც განიხილავს სამხრეთ კავკასიას როგორც საკუთარი გავლენის სფეროს. საქართველოზე გავლენის შენარჩუნების კუთხით, მისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია რჩება, რაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

1.3. კვლევის მეთოდოლოგია (მაქსიმუმ 3 გვერდი)

კვლევის მეთოდოლოგია მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი ტრანზიტული შესაძლებლობების შესწავლასა და საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი გავლენის ანალიზს სტრუქტურული მიდგომის საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული და შესწავლილი იქნება სამხრეთ კავკასიაში ახალი ტრანზიტული შესაძლებლობები, რაც მოიცავს:

- შესაბამისი დოკუმენტების ანალიზს (მიმოხილული იქნება ოფიციალური დოკუმენტები, შეთანხმებები და ანგარიშები პოტენციური ტრანზიტული დერეფნების, მათ შორის ყარსი-ნახიჩევანის, ზანზეგურის და სპარსეთის ყურე-შავი ზღვის პროექტების თაობაზე);
- ექსპერტების შესაბამისი მოსაზრებების და ქვეყნების ლიდერების დეკლარაციების და განცხადებების, ასევე დისკურსის ანალიზს;
- გეო-ინფორმაციული სისტემის გამოყენებას (GIS) საქართველოს კონტექსტში ზემოხსენებული დერეფნების გეოგრაფიული არეალის ვიზუალიზაციისა და ანალიზის მიზნით.

პარალელურად, მოხდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამავალი პოტენციური მარშრუტების ამოქმედების შესაძლებლობის/განხორციელებადობის შესწავლა ლოჯისტიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე შესაძლო რისკებისა და სარგებლის შეფასება, მათ შორის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივის კონტექსტში.

იდენტიფიცირებული და გაანალიზებული იქნება ყველა მთავარი მოთამაშის დეკლარირებული და შესაძლო ფარული ინტერესები, კერძოდ:

- პროექტებში მონაწილე ქვეყნები, როგორიც არის თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო;
- დაინტერესებული აქტორები, რომლებსაც პროექტების მიმართ სტრატეგიული ინტერესი გააჩნიათ - რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი და აშშ; ამ კონტექსტში განსაკუთრებით იქნება გაანალიზებული აღნიშნული აქტორების და, პირველ რიგში, ჩინეთის ინტერესი ღრმაწყლოვანი პორტის მიმართ;
- მესამე მხარეები - საერთაშორისო ორგანიზაციები/ინსტიტუციები, რომლებსაც პროექტი შეიძლება შეეხოს, ან პირიქით, თავად შეუძლიათ პროექტზე გავლენის მოხდენა.

კვლევა მოიცავს ფიზიკურ და დისტანციურ შეხვედრებს ექსპერტებთან აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და

ექსპერტებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, ასევე აფხაზ კოლეგებთან გასაუბრებას. დამატებით, შესწავლილი იქნება ოფიციალური პირების, პროფილური ანალიტიკური ორგანიზაციებისა თუ დარგის სპეციალისტების განცხადებები, ხედვები და მოსაზრებები თითოეული აქტორის ინტერესისა და ჩართულობის შეფასების მიზნით.

ჩატარებული ანალიზის შედეგად, მოხდება საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე სატრანზიტო მარშრუტების პოტენციური გავლენის შეფასება, რაც მოიცავს:

- ეკონომიკურ განზომილებას - როგორ აისახება ახალი მარშრუტები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, სავაჭრო ბალანსზე, მთლიან შიდა პროდუქტზე და დასაქმების პოლიტიკაზე;
- გეოპოლიტიკურ განზომილებას - როგორი იქნება პოტენციური ძალთა გადანაწილების დინამიკა და რა პოლიტიკური პროცესებია მოსალოდნელი ახალი დერეფნების ამოქმედების შემთხვევაში, განსაკუთრებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების კონტექსტში;
- სამხედრო-სტრატეგიულ განზომილებას - მიმოხილული იქნება ქვეყნებში არსებული თავდაცვის სტრატეგიები, ასევე სახელმწიფოთაშორისი სამხედრო ხელშეკრულებები და ალიანსები უსაფრთხოების კუთხით შესაძლო რისკებისა და საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით.

კვლევაში გაწერილი და გაანალიზებული იქნება მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარი. კერძოდ, გამოყოფილი იქნება საქართველოს ინტერესებისთვის ყველაზე კარგი, საქართველოს ინტერესებისთვის ყველაზე ცუდი და ყველაზე რეალისტური სცენარები.

კვლევის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება შემაჯამებელი მიმოხილვა, ასევე რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლების მიმართ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება ქვეყნის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ, ასევე პოტენციური პოლიტიკური თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების მართვა.

წინამდებარე მეთოდოლოგიის გამოყენებით, ორგანიზაცია მიზნად ისახავს წარმოადგინოს მრავალგანზომილებიანი, სიღრმისეული და დასაბუთებული ხედვა/ანალიზი სამხრეთ კავკასიაში ახალი ტრანზიტული შესაძლებლობების თაობაზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში.

1.4. კვლევის შეზღუდვები და კვლევასთან დაკავშირებული რისკები (მაქსიმუმ 1 გვერდი)

კვლევის მიზნებისთვის სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ შეუძლებელი იქნება აფხაზეთის რეგიონში ვიზიტის განხორციელება და ფართო სამიზნე ჯგუფებთან, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ინტერვიუს ჩაწერა. თუმცა ორგანიზაცია

გამოიყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს შესაბამის ექსპერტებთან დაკავშირებისა და დისტანციური შეხვედრების ორგანიზების მიზნით.

პოტენციურ რისკს ასევე წარმოადგენს სომხეთი-აზერბაიჯანის ურთიერთობების ესკალაცია, რაც ხელს შეუშლის ადგილზე ვიზიტების განხორციელებას; ამ შემთხვევაში ორგანიზაცია უზრუნველყოფს დისტანციური შეხვედრების გამართვას.

იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე რესპოდენტი შეხვედრაზე და კვლევაში მონაწილეობაზე უარს იტყვის, ინფორმაციის მისაღებად ორგანიზაცია მოძებნის ალტერნატიულ წყაროს.

2. კვლევის განხორციელება

2.1. კვლევის განმახორციელებელი გუნდი (მიუთითეთ კვლევის განხორციელებაში მონაწილე ყველა ძირითადი პირის სახელი და გვარი, როლთან და გამოცდილების შესახებ მოკლე მიმოხილვასთან ერთად)[4] (მაქსიმუმ 1 გვერდი)

პაატა გაფრინდაშვილი - 2016 წლის ივნისის თვიდან იკავებს საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორის პოზიციას. არის მრავალი კვლევის, პუბლიკაციისა და ანალიტიკური დოკუმენტის ავტორი. 2009-2013 წლებში იყო საქართველოს ელჩი ავსტრიაში, ასევე საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ავსტრიაში. მისი დიპლომატიური კარიერის განმავლობაში, მონაწილეობდა ბევრ საერთაშორისო მოლაპარაკებაში. 2004 წელს იკავებდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოზიციას. ხოლო, 2005 წელს მუშაობდა ეროვნულ უშიშროების საბჭოში. ასევე, იყო დესპანი უკრაინაში, დროებითი რწმუნებული რუმინეთში და საელჩოს პირველი მდივანი საბერძნეთში. ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხს. ასევე, სწავლობდა გერმანიაში, ჯორჯ მარშალის ევროპულ ცენტრში უსაფრთხოების განხრით (2000 წელს) და გაერთიანებულ სამეფოში, თავდაცვის სწავლების სამეფო კოლეჯში.

სერგი კაპანაძე - „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" თანადამფუძნებელი, ყოფილი დირექტორი (2012-2016) და გამგეობის თავმჯდომარე. ამჟამად ასევე არის კავკასიის უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. ის იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს საგარეო მინისტრის მოადგილე, ასევე - სამინისტროს წარმომადგენელი ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში, ჟენევის

[4] კვლევაში მონაწილე პირთა რეზიუმე (CV) წარმოადგინეთ დანართის სახით

საერთაშორისო მოლაპარაკებების დროს, უძღვებოდა საქართველოს დელეგაციას, ასევე კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი ხელმძღვანელობდა ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებებს ევროკავშირთან და სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის სამუშაო ჯგუფს. სერგი კაპანაძეს მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაბეშტი, უნგრეთი) მიენიჭა, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. ის არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი საერთაშორისო პოლიტიკისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.

ვალერი კვარაცხელია - 2015-2018 წლებში მუშაობდა საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტ „ფაქტ-მეტრის" ანალიტიკოსად ეკონომიკის მიმართულებით, 2018 წლიდან კი არის „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" მთავარი ეკონომისტი. ამავდროულად, ვალერი იკავებს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) პროექტის მენეჯერისა და ადმინისტრაციის უფროსის პოზიციებს. ის ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებს. ვალერის აქვს ეკონომიკური პროფილის სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიების ფინანსურ დეპარტამენტებში, აქტივების მართვასა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებში, მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება. ის ასევე კითხულობს ლექციებს საბაჟო კანონმდებლობასა და IFRS სტანდარტების ფარგლებში აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის საკითხებზე.

ვიქტორია ბაიკოვა - აქვს უსაფრთხოებისა და კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით მრავალწლიანი გამოცდილება. 2009-2023 წლებში მუშაობდა სახელმწიფო სექტორში - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში. 2023 წლის 1 ოქტომბრიდან მუშაობს საქართველოს რეფორმების ასოციაციაში (GRASS) ევროინტეგრაციის, უსაფრთხოებისა და კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, მონაწილეობს „კანდიდატის სტატუსმეტრის" და სხვა ანალიტიკური დოკუმენტების შემუშავებაში. ფლობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხებს.

2.2. კვლევის განხორციელების განრიგი (მაქსიმუმ ½ გვერდი)[5]

[5] განხორციელების განრიგი მოცემული უნდა იყოს 2-კვირიანი ინტერვალებით

დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების განრიგის მიხედვით განხორციელების შემთხვევაში, კვლევის მომზადება მოსალოდნელია 4 თვის ვადაში:

- I თვე გათვალისწინებულია ინფორმაციის შეგროვების, დახარისხებისა და დამუშავებისთვის;
- II-III თვეს განხორციელდება ვიზიტები სომხეთში და აზერბაიჯანში შესაბამისი ინტერვიუების ჩასატარებლად; ასევე მოხდება ინტერვიუების ჩატარება ქართველ და თურქ ექსპერტებთან;
- III თვეს მოხდება გასაუბრება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან, ასევე შედგება კომუნიკაცია აფხაზ წარმომადგენლებთან;
- IV თვე დაეთმობა კვლევის შეჯამებას და რეკომენდაციების შემუშავებას, რის შემდეგაც მოხდება კვლევის გამოქვეყნება და წარდგენა/პრეზენტაცია.

3. ორგანიზაციის შესახებ

3.1. ორგანიზაციის მოკლე აღწერა (1/2 გვერდი)

„საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS“ არის მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი, რომელიც დაარსდა 2012 წლის ოქტომბერში. GRASS-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საქართველოს საგარეო, უსაფრთხოების, საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების სფეროს კვლევასა და მის სიღრმისეულ ანალიზს, ასევე საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

GRASS-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, უსაფრთხოება და კონფლიქტის მოგვარება, ანტიდასავლურ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლა, მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია.

დაარსებიდან დღემდე GRASS-მა განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ოკუპირებული ტერიტორიების, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის, განათლების, მოწყვლადი ჯგუფებისა (იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეროვნული უმცირესობების) ინტეგრაციის, ასევე მედიის მიმართულებით არსებული ინოვაციური პროექტი „ფაქტმეტრი“. სხვა ორგანიზაციებთან ერთად, GRASS-ი მონაწილეობას იღებს „კანდიდატის სტატუსმეტრის“ შექმნაში, რაც ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების მდგომარეობის მონიტორინგსა და ანალიზს გულისხმობს.

GRASS-ს ასევე, გამოცემული აქვს მრავალი პუბლიკაცია და კვლევა განათლების, კონფლიქტის მოგვარების, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ასევე ქართული პოლიტიკის სიღრმისეული ანალიზი "GRASS BRIEF-ის" სახით.

GRASS-ი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან, მათ შორის ევროპულ კომისიასთან, გაერო-ს განვითარების პროგრამასთან, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან, დემოკრატიის ეროვნული ფონდთან, ვიშეგრადის ფონდთან, აშშ-სთან, ჩეხეთთან, შვეიცარიასთან, ესტონეთთან, ლიეტუვასთან და ა.შ.

GRASS-ი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის, ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის, კოალიცია ევროატლანტიკური საქართველოსთვის და სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!" წევრი ორგანიზაცია.

3.2. ორგანიზაციის მიერ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე განხორციელებული კვლევითი პროექტები (1/2 გვერდი)[6]

პროექტის სახელწოდება	**განხორციელების პერიოდი (თვე/წელი)**	**პროექტის შედეგი[7]**	**დაფინანსების წყარო**
პარლამენტის როლი და საქმიანობა რუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგადის საკითხებზე	2023 წლის 8 ივნისი	https://grass.org.ge/uploads/other/2023-06-08/1614.pdf	---
"მედიის მდგომარეობა საქართველოში - ანალიზი ევროკომისიის კითხვარის პრიზმაში"	2022 წლის 16 ივნისი	https://grass.org.ge/uploads/other/2022-06-21/1400.pdf	ტვ ფორმულა

[6] საჭიროებისამებრ გაზარდეთ ცხრილი

[7] სადაც შესაძლებელია კვლევის ანგარიშების ბმულების მითითებით

რუსული და ჩინური გავლენები საქართველოში	2022 წლის 25 იანვარი	https://grass.org.ge/uploads/other/2022-01-25/1125.pdf	კვლევა დაფინანსდა ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამისა (Transition Promotion Program) და USAID-ის ახალი დონორების გამოწვევის პროგრამის (Emerging Donors Challenge Program) ფარგლებში
დეზინფორმაციული ნარატივების ანალიზი - სლოვაკეთისა და საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში	2021 წლის 9 დეკემბერი	https://grass.org.ge/uploads/other/2022-02-08/1142.pdf	სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
საგარეო გავლენის აქტორების შედარებითი კვლევა საქართველოში	2021 წლის 5 აპრილი	https://grass.org.ge/uploads/other/2021-07-09/943.pdf	კვლევა დაფინანსდა ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამისა (Transition Promotion Program) და USAID-ის ახალი დონორების გამოწვევის პროგრამის (Emerging Donors Challenge Program) ფარგლებში
ჩეხეთისა და ლიეტუვის გამოცდილება დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში	2021 წლის 15 მარტი	https://grass.org.ge/uploads/other/2021-03-16/883.pdf	Open Information Partnership (OIP)
სახელმძღვანელო: ანტიდასავლური დეზინფორმაცია საქართველოში და მისი გამოვლენის გზები	2020 წლის 16 ნოემბერი	https://grass.org.ge/uploads/other/2020-11-16/799.pdf	---

ერთი ნაბიჯით ახლოს – საქართველო, ევროკავშირთან ინტეგრაცია და კონფლიქტის დარეგულირება?	2020 წლის 11 თებერვალი	https://grass.org.ge/uploads/other/2020-09-21/768.pdf	Open Society Initiative for Europe OSIFE
საქართველოს განათლების სისტემა	2019 წლის 8 თებერვალი	https://grass.org.ge/uploads/other/2019-02-08/288.pdf	---

დანართი N2	
განმცხადებელი ორგანიზაცია	საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
კვლევის სახელწოდება	ახალი სატრანზიტო დერეფნების სცენარების და დიდი გეოპოლიტიკური აქტორების ინტერესების ანალიზი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების კონტექსტში

აღწერა	ერთეული	ერთეულის ღირებულება (ლარში)	ერთეულის რაოდენობა	ჯამი	აღწერა/შენიშვნა
ადამიანური რესურსი					
თანამშრომელი					შენიშვნა: ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს კვლევით პროექტში დასაქმებული არსებული თანამშრომლები, სახელის, გვარის, როლისა და დაკავებულობის მითითებით)
პაატა გაფრინდაშვილი	1	1,200.00 ₾	4	4,800.00 ₾	პროექტის მენეჯერი
სერგი კაპანაძე	1	1,200.00 ₾	4	4,800.00 ₾	კვლევის სამეცნიერო რედაქტორი
ვიქტორია ბაიკოვა	1	1,000.00 ₾	4	4,000.00 ₾	მკვლევარი
ვალერი კვარაცხელია	1	1,000.00 ₾	4	4,000.00 ₾	მკვლევარი
თეა ვახანია	1	500.00 ₾	4	2,000.00 ₾	ფინანსური მენეჯერი
მაია ბაღათურია	1	400.00 ₾	4	1,600.00 ₾	ადმინისტრაციული ასისტენტი
კონსულტანტი/ექსპერტი					შენიშვნა: ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს დაქირავებული კონსულტანტები (რომლებიც ორგანიზაციის მუდმივ კადრს არ წარმოადგენენ) სახელის, გვარის, როლისა და დაკავებულობის მითითებით
რეგიონის ექსპერტი / კონსულტანტი	2	2500	2	5,000.00 ₾	სამხრეთ კავკასიის თემებზე მომუშავე ორი გარე ექსპერტი, რომელიც აირჩება აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან
				- ₾	
				- ₾	
				- ₾	
სულ ადამიანური რესურსი				26,200.00 ₾	
სხვა პირდაპირი ხარჯი					შენიშვნა: ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს უშუალოდ კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები; ხარჯები გთხოვთ, წარმოადგინოთ კატეგორიებად (მაგ. მგზავრობა (აღწერაში ლოკაციის მითითებით), ფოკუს ჯგუფისთვის ფართის დაქირავება, და ა.შ.)
მგზავრობა სომხეთში	ერთეული	ფასი	ლარი		
ტრანსპორტირება ფრენა 3 ადამიანი ორი გზა	3	800	3	2,400.00 ₾	
სასტუმრო 3 ადამიანი 2 ღამე	6	324	6	1,944.00 ₾	
დღიური ხარჯი 3 დღე 3 ადამიანი	9	121.5	9	1,093.50 ₾	
წარმომადგენლობითი ხარჯი: შეხვედრებისთვ	3	324	3	972.00 ₾	
შიდა გადაადგილება	1	324	1	324.00 ₾	
მგზავრობა აზერბაიჯანში					
ტრანსპორტირება ფრენა 3 ადამიანი ორი გზა	3	1100	3	3,300.00 ₾	
სასტუმრო 3 ადამიანი 2 ღამე	6	378	6	2,268.00 ₾	
დღიური ხარჯი 3 დღე 3 ადამიანი	9	121.5	9	1,093.50 ₾	
წარმომადგენლობითი ხარჯი: შეხვედრებისთვ	3	324	3	972.00 ₾	

შიდა გადაადგილება	1	324	1	324.00 ₾	
				- ₾	
საპრეზენტაციო სივრცის დაქირავება და მიღებ	1	2500	1	2,500.00 ₾	
შიდა ტრანსპორტირება საქართველოში	1	600	4	2,400.00 ₾	
სულ სხვა პირდაპირი ხარჯი				19,591.00 ₾	
სულ პირდაპირი ხარჯები				45,791.00 ₾	
არაპირდაპირი ხარჯი				4,579.10 ₾	
მთლიანი ბიუჯეტი				50,370.10 ₾	